



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030191390173713

KA030191390173713

№ 01-25/ო

04 / თებერვალი / 2013 წ.

„სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში გეგმიური მომსახურების უზრუნველყოფისთვის მზღვეველებისა და მიმწოდებელთა შესახებ სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურისათვის წარსადგენი ინფორმაციის მიწოდების წესისა და მოცულობის განსაზღვრის თაობაზე“

„სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N177 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) სადაზღვევო კომპანიებისათვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში გეგმიური მომსახურების უზრუნველყოფისთვის მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი N1);

ბ) სამედიცინო დაწესებულებებისთვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში გეგმიური მომსახურების უზრუნველყოფისთვის მზღვეველებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი N2);

გ) ავთიაქებისთვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში გეგმიური მომსახურების უზრუნველყოფისთვის მზღვეველებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი N3).


2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მოწოდება სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებში მონაწილე მზღვეველებისა და მიმწოდებლების მიერ უნდა განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმა უნდა შეივსოს ელექტრონულად;

ბ) კომპაქტ დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ფაილი უნდა მიეწოდოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახურს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

A handwritten signature in black ink, consisting of several stylized, overlapping strokes.

დავით სერგეენკო